ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/111219/2

ქ. თბილისი **11 დეკემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** (შემდგომში _ შემსყიდველი), ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, **გიორგი გომარელის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ჯეა“,** მისი დირექტორის - **ელდარ ერაძის** სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით გზისთვის ვარგისიანობის ტესტირებისა და ტექნიკური ნებართვის გაცემის მომსახურების **(CPV71631200 - მომსახურებები მანქანა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების სფეროში)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს 2019 წლის 6 დეკემბრის N 151528-21 მოხსენებითი ბარათის, „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N510 დადგენილების, ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37, მასში შესული 2017 წლის 1 დეკემბრის N522 ცვლილების და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (M2 კატეგორიის ავტომობილი) გზისთვის ვარგისიანობის ტესტირებისა და ტექნიკური ნებართვის გაცემის მომსახურება (ტექ. დათვალიერება).
2. ავტომობილების მარკა და სანომრე ნიშანი იხილეთ ხელშეკრულების დანართი №1-ში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **100.00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით. (ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების (M2) ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ღირებულება შეადგენს 100.00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.2 გაცემული ნებართვა ძალაში უნდა იყოს შემდეგი ვადით:

- (M2) კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე **6 (ექვსი)** თვე;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

5.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.2 შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2 უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემა შემსრულებლისთვის მასთან შეთანხმებულ ზუსტ დროს მომსახურების გასაწევად.

6.2.3 დაიცვას რიგითობა მომსახურების მისაღებად.

6.2.4 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.3.2 უარი უთხრას მომსახურების განხორციელებაზე შემსყიდველს, იმ შემთხვევაში თუ კი შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალება არ შეესაბამება წარდგენილ დოკუმენტაციას.
6.3.3 გადაავადოს ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმება გონივრული ვადით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1 შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და დაიცვას მომსახურების გაწევის ვადები ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
6.4.2 მომსახურების გაწევა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ნებართვის გაცემის პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზი.
6.4.3 იყოს აკრედიტირებული და აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N511 დადგენილებას, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
7.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.
7.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმირ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისთვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება
გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავების გადაწყვეტა
მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ შემოსავლების სამსახურის

უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ პირთა ჯგუფი.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „შემოსავლების სამსახური"
ქ. თბილისი გორგასლის ქ. #16
„სახელმწიფო ხაზინა"
TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 70701
ს/კოდი: 204525585

მიმწოდებელი:
შპს „ჯეა"
ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ. 1 სს
„საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
ა/ა: GE05BG0000000889429901 ს/კოდი: 212700898

გიორგი გომარელი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

REVENUE SERVICE
Digitally signed by REVENUE SERVICE
Date: 2019.12.11 20:14:48 +04'00'

ელდარ ერაძე
დირექტორი

Eldar Eradze
Подписано цифровой подписью: Eldar Eradze
Дата: 2019.12.11 13:37:11 +04'00'

ავტომანქანების ჩამონათვალი

№	ა/მანქანის მოდელი	კატეგორია	გამოშვ. წელი	სახ. №
1	MERCEDES 208CDI	M2	2005	RS-145-GE